ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7845866

ნომერი: AR11133572

თარიღი : 14.03.2026

გაცემის თარიღი : 17.03.2026

გაცნობის თარიღი : 17.03.2026

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თენგიზ შეშელიძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ალექსანდრე ღოლოძე პ/ნ 01026007999
- თბილისი ვ.დოლიძის ქ. კორ. 17 ბ. 6

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენა
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)
- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები
  - ავტოსამრეცხაო

....ობიექტის ფუნქციური დანიშნულება :

- ....ქმედებები: 1662.0

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიეტქტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 მაისის №255 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესის და პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15

მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ განმეორებით ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ: მოთხოვნის ტექსტში თქვენს მიერ დაკონკრეტდა საპროექტო შენობის ფუნქცია, რომელიც არის საცხოვრებელი. , ვინაიდან, საპროექტო მიწის ნაკვეთი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20–105 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ შესაბამისად მდებარეობს საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 3 (სსზ-3)და სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)-ში, ხოლო „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ” ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების მე–16 მუხლისა და დანართის მიხედვით, თქვენს მიერ მითითებული ფუნქცია არ შედის დასაშვებ სახეობათა ნუსხაში, სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას გასცეს წერილობითი დასტური მშენებლობის განხორციელების შესაძებლობის თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური თქვენს მოთხოვნას ავტოსამრეცხაოსთვის , მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების დადგენის კუთხით ვერ დააკმაყოფილებს.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.